

## ტოპონიმიკის პრობლემები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში

ტოპონიმიკა გეოგრაფიული სახელწოდება, თავის თავში შეიცავს მისი წარმომავლობის პირობებს, მის ბედ-იღბალს, მის ცვალებადობას; ის არის მოწმე გარკვეული ისტორიული პერიოდებისა; ომები, მიგრაციები, ეთნიკური კონტაქტები თავის გავლენას ახდენენ ტოპონიმებზე და ყოველზე ეს კი უამთა სვლისას ტოპონიმიკურ პლასტებს წარმოშობს. გეოგრაფიული სახელწოდებანი მრავალფეროვანია. რავალი მათგანი ყალიბდება ათასეული წლის მანძილზე. ძოგმა სახე იცვალა, ზოგი გაქრა, ზოგი ახლით შეიცვალა. ჩვენს დროშიც იქმნება ახალი ტოპონიმები, რაც ბუნებრივი ან ისტორიული აუცილებლობითაა განპირობებული. (ხარაძე კ. საქართველოს ძველი ტოპონიმების კვლევის ასპექტები, ონომასტიკა, I, თბ., 1987, 234)

მრავალი საუკუნის მანძილზე დამპყრობელთა მიერ ქვემო ქართლში წარმოებულმა ომებმა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ნაწილი ამოწყვიტა, ნაწილი კი აიყარა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (უმეტესად, მთიანეთში) გადასახლდა. ქართველთა სამკვიდროზე უცხოტომელები დასახლდნენ, რამაც არამარტო სრულიად შეცვალა ამ მხარის დემოგრაფიული სტრუქტურა, არამედ მთლიანად ამოძირკვა ქართული ტოპონიმიკა, ანუ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მეტყველი საბუთი. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, „მიწისზედა, თუ წიაღისეულ მატერიალურ ხასიათის ნაშთებს გარდა ჩვენ წინაშეა აურაცხელი მასალა, რომელიც თავისი ხარისხით ოდნავადაც არ ჩამოუვარდება სხვა რიგის წყაროებს. ეს არის ადგილთა სახელები (ტოპონიმიკა). მრავალ კუთხეში ეს სახელები გამქრალა მოსახლეობის ამოწყვეტის გამო, ტოპონიმიკური ტრადიციაც გაწყვეტილა, და ქვეყანა დამუნჯებულა, სხვაგან კიდევ ახალი და უცხო სახელები გაჩენილა, მაგრამ ისიც კი, რასაც ჩვენამდე ძველი დროიდანვე მოუღწევია, ამოუწურველი მასალაა, – მეტყველი და უტყუარი“

(ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964 გვ. 358). დიდი მეცნიერის ეს სიტყვები ქვემო ქართლში შექმნილ ვითარებას ზუსტად მიესადაგება.

სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით მოსახლეობის განსახლების სურათი ამჟამინდელი ქვემო ქართლის მხარის 6 ადმინისტრაციულ ერთეულში ასე გამოიყურება: დმანისის, ბოლნისის, გარდაბნის, მარნეულის რაიონების (მუნიციპალიტეტების) ტერიტორიაზე ჭარბობდა და ახლაც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ აზერბაიჯანელები (ანუ თურქულენოვანი ელებისა და შემდგომში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან 1926 წ-დან გადმოსახლებულთა შთამომავლები). აღნიშნულ ტერიტორიაზე მრავლად დასახლდნენ სომხები, რომლებმაც დამოუკიდებელი სოფლებიც შექმნეს. აქვე XIX-XX საუკუნეებში ჩასახლდნენ გერმანელები, რუსები და სხვა მრავალი ეროვნების წარმომადგენლები. ქართველობა აქ, როგორც იტყვიან სანთლით საძებარი გახდა.

ქვემო ქართლის ისტორიულ მხარეთა შორის ყველაზე უფრო გაუცხოებული მხარე მოსახლეობით, ტოპონიმით იყო თრიალეთი (დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, 2005, გვ. 330), სადაც მე-19 ს-ის I მესამედში საერთოდ აღარავინ ცხოვრობდა, ვიდრე მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ 1829-1830 წწ. არ ჩამოსახლებდნენ თურქეთის ერზრუმის ოლქიდან სომხებსი და ბერძნები.

ჩამოსახლებულმა მიგრანტებმა სრულიად შეცვალეს ადგილობრივი ტოპონიმოკა. ქართულ სოფლებსა და შემორჩენილ სახლ-კარში შესახლებულებმა, უმეტეს შემთხვევაში, დასახლებებს შეარქვეს თავიანთი ძველი საცხოვრებლების სახელები. მეორე შემთხვევაში, ადგილობრივი ტოპონიმი მოსულებმა თავის სმენასა და ენობრივ თავისებურებებს მორგეს და ქართული ტოპონიმი ისე დაამახინჯეს, რომ მის ამოცნობას სპეციალური კვლევა დასჭირდა. ამ საქმეში დიდი წვლილი ს. ჯიქიას მიუძღვის, რომელმაც აღადგინა ძველი, მკვიდრი ქართული სახელწოდებები, რომლებიც სხვადასხვა ენობრივ კორექტივში ისე გადასხვაფერდა, რომ ხშირად გაჭირდება მისი ეროვნული სახეობის აღდგენა. მაგ., ს. ჯიქიამ აღადგინა ტოპონიმი საპიტიახშო, რომელსაც შემდეგ მიგრანტები გამოთქვამდნენ როგორც საბუდახჩო-ს. მეცნიერმა გაარკვია წალკის რ-ის სოფ. გედაქლარის წარმომავლობა, რაც კლდეკარის დამახინჯებული ფორმაა (ს. ჯიქია. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ნაწ. III, თბ., 1958, გვ. 26; გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-

განმარტება, თბ., 1965 წ., გვ. 8). სამწუხაროა ის, რომ დღეს, როდესაც ქვემო ქართლის მრავალი ძველი ტოპონიმი აღდგა, კლდეკარი – საქართველოს ისტორიაში ცნობილი სახელი და ადგილი, კვლავ გედაქლარის სახელწოდებით მოიხსენიება წალკის რ-ის არჯევან-სარგანის თემის სოფელთა სიაში.

ტოპონიმთა დამახინჯების, გარდაქმნის მრავალი მაგალითიდან კიდევ ერთს მოვიყვანთ: ბოლნისის რ-ის ერთ-ერთ ნასოფლარს, სადაც ახლა საზაფხულო საძოვრებია, ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს „სარგინა“-ს. კობა ხარაძის მიერ გარკვეულია, რომ სარგინა იგივე სარკინეთია. სოფ. სარკინეთი ახლა დმანისის რ-ის სოფელია (რომელიც 1949 წ-მდე დემირბულახად იწოდებოდა – გ. ჩ.) (კ. ხარაძე. საქართველოს ძველი ტოპონიმების კვლევის ასპექტები, ონომასტიკა, I, თბ., 1987, 238).

ახალმოშენები ადგილობრივ სახელწოდებებს ზოგიერთ შემთხვევაში თავისებურად გაიაზრებდნენ, საკუთარ ენასთან მსგავსებას მიუსადაგებდნენ. მაგ., წალკის რ-ის ერთ-ერთი სოფლის წლამდე აღმნიშვნელი სახელწოდება ბეშქენაშენი<sup>1</sup> (რომელიც პიროვნების – ბეშქენის მიერ სოფლის შენებასთან – დაფუძნებასთანაა დაკავშირებული ქართული ტრადიციით) 1929 წელს ჩამოსახლებული

---

<sup>1</sup> ბეშქენაშენი (ქც 4: 319,19). იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 319,19), 1392 წ. ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 117), 1559 წ. ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი (ქართ. სამართ. ძეგ. 1970: 264), XVII ს-ის ისტორიული საბუთი (დოკ. საქ. სოც. ისტ. 1940: 87; მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 41-42), „დასტურლამალი“ (ქართ. სამართ. ძეგ. 1965: 326), XVIII ს-ის აღწერის მასალები (მასალანი საქ. სტატ. 1907: 19), იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ (ბაგრატიონი 1986: 48).

ვახუშტი ბაგრატიონი ბეშქენაშენის შესახებ გადმოგვცემს: „ედანს ზეით ერთვის ქციას ბეშქენაშენის-ხევი ჩრდილოდამ. გამოსდის ერჯვენისა და კლდეკარის მთასა. აღმოსავლით ბეშქენაშენისა არს ტბა ბარეთისა, მცირე, უთევზო“.

ისტორიულ საბუთებში პირველად მოხსენიებულია XIV ს-ში. 1697 წ. ქართლის კათოლიკოსმა იოანე დიასამიძემ ბეშქენაშელებს ხელშეუვალობის წიგნი მისცა. 1721 წ. ვახტანგ VI-ის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილმა და გივი თუშანიშვილმა შეადგინეს საბარათიანოს მეწინავე სადროშოსა და სომხითის აღწერა, რომლის მიხედვით ბეშქენაშენში ითვლებოდა 1 მებატონე სვიმონ ბატონიშვილი, 4 მემამულე-აზნაური რჩეულიშვილები, 12 გამომღები და 3 ბოგანო ყმა (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964: 41-42; ლორთქიფანიძე 1935: 291). XIX ს-ში რუსეთ-თურქეთის ომების შემდეგ თრიალეთში ბერძნების ჩამოსახლება დაიწყო. საუკუნის ბოლოსათვის ბეშქენაშენი უკვე ბერძნული სოფელი ბეშთაშენია, სადაც 250 კომლზე მეტი ცხოვრობდა (თაყაიშვილი 1913: 15-17). „**ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი**“, გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე და სხვ. (740 გვ.), რედ. და პროექტის ხელმძღვ. გელა გამყრელიძე, საქ. ეროვნ. მუზეუმი, არქეოლ. ცენტრი. I-ლი გამოცემა. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2013. 739 გვ.

თურქულენოვანი ბერძნების მეოხებით, ბეშთაშენ-ად იქცა (ბეშ – თურქ. – ხუთია, თაშ – ქვა, აქედან „ხუთი ქვა“). უფრო ზუსტად, ბეშქენაშენი, რომელიც მრავალ ძველ საბუთშია მოხსენიებული, თურქულენოვანი მოსახლეობის მეტყველებაში გამოითქმის როგორც „ბეშთაშ“, „ბეშთაშენი“ კი გაქართულებული ფორმაა. კ. ხარაძის მითითებით დასახლებული პუნქტი „ბეშთაშ“ მდებარეობდა თურქეთის ერზრუმის ვილაიეთში, საიდანაც მოვიდა აღნიშნული მოსახლეობა. „ბეშთაშ“ ხუთ ქვას, ხუთ კლდეს ნიშნავს და სწორი არ არის მოსაზრება, რომ ბეშთაშენი ბეშქენაშენის დამახინჯებული ფორმაა. უბრალოდ სახელწოდებების მიმსგავსებასთან უნდა გვექონდეს საქმე (ხარაძე კ., თრიალეთის ძველი ქართული ტოპონიმები, „მაცნე“, №2, №2, თბ., 1972, 239). სხვა შემთხვევაში ტოპონიმები იქმნებოდა გარეგნული ნიშნების მიხედვით. წალკის რ-ში **ედიქილისა** დაექვა სოფელს, სადაც 7 ეკლესია იდგა – ედიქილისა „7 ეკლესიას აღნიშნავს“, (სოფ. თაქილისა – ნიშნავს „ერთ ეკლესიას (აქ ერთი ბაზილიკის ტიპის ეკლესიაა) (ამჟამად ს. განთიადი). წითელი ქვით ნაგები ეკლესიის მიხედვით სოფელს ეწოდა **ყიზილქილისა** (რომელიც შემდეგ დაანგრეს). თურქული გეოგრაფიული ნომენკლატურა დღემდეა შემორჩენილი წალკის რ-ში (Пашаева Л., Этнические процессы в Триалети, მაცნე, თბ., 1977, 15, 87).

ქვემო ქართლის ტოპონიმიაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი, რაც შორს წაგვიყვანდა. ამჯერად, საგანგებოდ იმას აღვნიშნავთ, რომ XX ს-ის 30-იანი წლების დასაწყისამდე მთელ ქვემო ქართლში (განსაკუთრებით, წალკის რ-ში) ქართული ტოპონიმის მოძიებას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა. თითო-ორიოლა მაგალითი სურათს ვერ ცვლიდა. მიგრანტთა მიერ ქართული ტოპონიმებისადმი ასეთი უბოდიშო დამოკიდებულების მიმართ ყველა ჩვენგანის გულისტკივილი დევი ბერძენიშვილმა ასე გამოხატა: „საოცარია ქვემო ქართლის სოფლების ისტორიული ხვედრი; ვიდას არ „უღვაწია“ ამ უპატრონო ნასოფლარების მოსათხრელად“ (ბერძენიშვილი დ., ნარკვევები, თბ., 2005, 59). ეს სიტყვები მეცნიერმა ს. კიროვისის (დღევანდელი სოფ. იფნარი – დმანისის რ-ნი) ძეგლთა და ტოპონიმთა კვლევის შედეგებს მოაყოლა. აღნიშნული სოფელი მდ. ყარაბულაღის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ს. საჭიდან (საჯა) 4-5 კმ-ში. აქ არსებული XI საუკუნის ძველი ეკლესიიდან ამჟამად მხოლოდ ლოდებიღაა დარჩენილი – სწორედ მათზე

შემორჩენილი ორნამენტების, ქვის სვეტზე არსებული და იმავე სვეტის მეორე მხარეზე 1929 წ. გაკეთებული გერმანულ-რუსული წარწერიდან ჩანს, რომ აქ ჩამოსახლებული კოლონისტები გერმანელებისგან სოფელს ვალდჰაიმი შერქმევია. 1929 წ. ამავე რიონში მცხოვრებ ბერძენ ქვის მთლელებს უმუშავიათ, წარწერაში თავიანთი სახელებიც უკვდავუყვიათ. დ. ბერძენიშვილს დაუდგენია, რომ აღნიშნულ სოფელში გერმანელების დამკვიდრებამდე თათრებს უცხოვრიათ და მაშინ ორომაშენი რქმევია; შემდგომში თათრები აქედან ოდნავ აღმოსავლეთით მდებარე ქართულ ნასოფლარში გადასახლებულან და პირველსაცხოვრისის სახელი – ორომაშენი შეურქმევიათ. ამრიგად, დღეს ეს სახელწოდება სულ სხვა სოფელს ეკუთვნის, რასაც ადასტურებს 1905 წ. ხუთვერსიანი რუკაც, რომელზეც სოფ. ბახჩალარის სამხრეთ-დასავლეთით აღნიშნულია „ორომაშენი“, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით კი – „თათრების ორომაშენი“ (ბერძენიშვილი დ., ნარკვევები, 2005 წ. 59-60). ამრიგად, ქართული სოფლის სახელწოდება ორომაშენი შეცვალა ერთ შემთხვევაში „თათრების ორომაშენმა“, მეორე შემთხვევაში – გერმანულმა ვალდჰაიმმა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს გერმანელების შუა აზიასა და ციმბირში გასახლების შემდეგ სოფელს სახელი გადაერქვა და ეწოდა კიროვისი (1943 წ. 5 აგვისტოს). ამ ბოლო წლებში სოფ. კიროვისს ეწოდა იფნარი.

გერმანელთა მრავალ სხვა დასახლებას გერმანული ტოპონიმი (ქართული ნასახლარისთვის შერქმეული), რუსებისგან დასახლებულს – რუსული (და ა. შ.) ცვლიდა და ქართული, ისტორიული ტრადიციული ტოპონიმები დავიწყებას ეძლეოდა.

ასე გრძელდებოდა XX ს-ის 20-იანი წლების ბოლომდე. 1931 წლიდან საბჭოთა საქართველოს პირობებში ვითარება შეიცვალა – საქართველოში დაიწყო ტოპონიმთა გადარქმევის ახალი ტალღა. ამჯერად ეს უკავშირდებოდა საბჭოთა კავშირის მესვეურთა ამბიციებს – ისტორიულ, ადგილობრივ სახელწოდებებს ცვლიდა საბჭოთა კავშირის ხელისუფალთა გვარ-სახელები, მაგ., 1931 წ. ქ. ცხინვალს ეწოდა ქ. სტალინირი, დ. გეგეჭკორი ეწოდა (1936 წ. 19.3) სოფ. მარტვილს, მახარაძე – ქ. ოზურგეთს (1934 წ. 28.6) და სხვ.

რაც შეეხება ქვემო ქართლს, აქ 1932 წლიდან დაიწყო დასახლებებისათვის მაშინ არსებული სახელწოდებების შეცვლა, მაგრამ არა ქართულის, ეროვნულის

გათვალისწინებით – მაგ., სოფ. კარატაპას ყარაია უწოდეს, სოფ. სარვანს – ბორჩალო და სხვ. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს გერმანელები გაასახლეს ციმბირსა და შუა აზიაში. მათი დასახლებების გერმანული სახელწოდებები შეიცვალა ადრინდელი, ადგილობრივი ტოპონიმებით (იხ. ქვემოთ).

1940-იანი წლების ბოლოდან და განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან დაიწყო ქართული ისტორიული სახელწოდებების აღდგენა.

ქვემო ქართლის დასახლებული პუნქტებისთვის სახელწოდების შეცვლა დაიწყო 1932 წლიდან.

- 1932 წ. 22.12 ბარმაქსიზს ეწოდა წალკა;
- 1932 წ. 22.12 კარატაპას ეწოდა ყარაია (გარდაბნის რ-ნი);
- 1932 წ. 13.2 სარვანს ეწოდა ბორჩალო (მარნეულის რ-ნი);
- 1932 წ. 28.2 შულავერს ეწოდა შაუმიანი (მარნეულის რ-ნი);
- 1942 წ. 7.4 იაკუბლოს ეწოდა ჩაპაევკა (წალკის რ-ნი);
- 1943 წ. 31.8 გოფნუსტალს ეწოდა ახალშენი (გარდაბნის რ-ნი);
- 1943 წ. 5.8 ვალდჰიმს ეწოდა კიროვისი (დმანისის რ-ნი);
- 1943 წ. 3. 4. ლუქსემბურგს ეწოდა ბოლნისი
- 1944 წ. 19.10 ალბულაღს ეწოდა თეთრიწყარო;
- 1944 წ. ტრაუბენბერგს ეწოდა თამარისი (მარნეულის რ-ნი);
- 1944 წ. 31.8 ტრაუბენტალს ეწოდა ამბარტაფა (გარდაბნის რ-ნი);
- 1947 წ. 18.3 ბაშკიჩეთს ეწოდა დმანისი;
- 1947 წ. 18.3 ბორჩალოს ეწოდა მარნეული;
- 1947 წ. 19.4 ღორისთავს ეწოდა გუდარეხი (თეთრიწყაროს რ-ნი);
- 1947 წ. 18.3 ყარაიას ეწოდა გარდაბანი (გარდაბნის რ-ნი);
- 1948 წ. გრუნტალს ეწოდა რუისბოლო (გარდაბნის რ-ნი);
- 1949 წ. 12.7 ამბარლოს ეწოდა განახლება (დმანისის რ-ნი);
- 1949 წ. 12.7 არმუთლოს ეწოდა პანტიანი (დმანისი რ-ნი);
- 1949 წ. 12.7 ბუსუკაღას ეწოდა ქარიანი (დმანისის რ-ნი);
- 1949 წ. 12.7 გორუნჯუკს ეწოდა მაშავერა (დმანისის რ-ნი);
- 1949 წ. 12.7 დემურბულახს ეწოდა სარკინეთი (დმანისის რ-ნი);
- 1949 წ. 12.7 კაშკათაღას ეწოდა საკირე (დმანისის რ-ნი);

- 1949 წ. 12.7 მამუთლოს ეწოდა მთისძირი (დმანისის რ-ნი);
  - 1949 წ. 12.7 მამლოსოფელს ეწოდა მამულა (დმანისის რ-ნი);
  - 1949 წ. 12.7 მიჯას ეწოდა ჯავახი (დმანისის რ-ნი);
  - 1949 წ. 12.7 ქართველების კაკლიანს ეწოდა კაკლიანი (დმანისის რ-ნი);
  - 1949 წ. 12.7 ქეივანბულგასონს ეწოდა ველისპირი (დმანისის რ-ნი);
  - 1949 წ. 12.7 ყარაქლისის ეწოდა ვაკე (დმანისის რ-ნი);
  - 1949 წ. 12.7 ჯარაიორი ეწოდა გორა (დმანისის რ-ნი);
  - 1951 წ. 19.11 ბოლაზქასანს ეწოდა ტყისპირი (დმანისის რ-ნი);
  - 1951 წ. 6. 9 ჩათახს ეწოდა ფოლადაური (ბოლნისის რ-ნი);
  - 1953 წ. 13.5 პრიუტს ეწოდა ორბეთი (თეთრიწყაროს რ-ნი);
  - 1955 წ. 31.8 ტატიანოვკას ეწოდა კალინინო (გარდაბნის რ-ნი);
  - 1957 წ. 30.9 ბუდიონოვკა-ვოროშილოვკას ეწოდა ალგეთი (თეთრიწყაროს რ-ნი);
  - 1957 წ. 26.10 მოლოტოვოს ეწოდა თრიალეთი (წალკის რ-ნი);
  - 1959 წ. 3. 8 გიაურარხს ეწოდა ალგეთი (მარნეულის რ-ნი);
- (მოტანილი ცვლილებები იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1966 წ.).

1949-1954 წ. წ. მარნეულის რ-ნის თავისუფალ ტერიტორიაზე ორი სოფელი დაფუძნდა (იმერლები ჩაასახლეს), რომელთაგან ერთს ეწოდა წერეთელი, მეორეს – ორჯონიკიძე.

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან დღემდე ბოლნისის რ-ნში დასახლებულ შემდეგ პუნქტებს შეეცვალათ სახელწოდებები (ან წარმოიშვა ახალი დასახლებები – გაჩნდა ახალი ტოპონიმები). ყოფილ წინწყალას ჯერ უწოდებდნენ სისკალას (არაქართველთა გამოთქმით), შემდეგ ოფიციალურად ეწოდა ბალახაური.

- ყოფ. ქვემო გულავერს ეწოდა გეტა;
- ყოფ. დემურლოს (ყოფ. ქართულ სახალაჯვარს) – სახალაჯვარი;
- ყოფ. მიგირლოს – ვანათი;
- ყოფ. ზემო ქოშაქილისი – ზემო არქევანია ახლა;
- ყოფ. სარალარი – ზვარეთი;
- ყოფ. ყარადაში – იწრი;

ყოფ. სარახლო – მამხუტია;  
 ყოფ. ტაშტიყულარი – მუხრანა;  
 ყოფ. ასმალარი – მწყნეთი;  
 ყოფ. არახლო – ნახიდური;  
 ყოფ. ყარათიქანი – საბერეთია;  
 ყოფ. იმირასანი – საგანეთია  
 ყოფ. საფარლო – სამტრედო;  
 ყოფ. ფარახლო – ტალავერი;  
 ყოფ. პატარა მუღანლო – ფარიზია;  
 ყოფ. ჩათახი – ფოლადაური;  
 ყოფ. მუსოფრიანი – ფოცხვერიანი;  
 ყოფ. ქვემო ქოშაქილისი – ქვემო არქევანი;  
 ყოფ. ქვემო გულავერი – გეტა;  
 ყოფ. სარკინეთი – ინჯაოღლი – შემდეგ შუა ბოლნისი;  
 ყოფ. ქოლაგირი – ცურტავი;  
 ყოფ. არაქელი – ძეძენარიანი;  
 ყოფ. ქონულო – ჭაპალა;  
 ყოფ. კიპირჯიკი – ჭრეში;  
 ყოფ. პატარა ახმედლო – ხატავეთი;  
 ყოფ. ხატისსოფელი – წითელსოფელი – შემდეგ ისევ ს. ხატისსოფელი;  
 ყოფ. დემურლო – ხახალჯვარია;  
 ყოფ. ასანხოჯალო – ხიდისყურია;  
 ყოფ. აბდალო – ჯაგშანიანი.

(საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 2009).

1970-იანი წლებიდან გარდაბნის რ-ში შეცვლილი ტოპონიმებია:

ყოფ. ახალი ულიანოვკა – ვახტანისი (ვახტანგისი – 2009 წ. ორთოგრაფიული ლექსიკონი);

ლემშვენეირა – 1990-იან წლებში სვანების მიერ დასახლებული სოფელია;

მზიანეთი – ახალი სოფელია 1980-იანი წლებიდან;



ყოფ. საცხენჭესი – 1972 წლიდან სააკაძეა;

ყოფ. ლენინისი – 1990-იანი წლებიდან ქვიშიანი.

1970-იანი წლებიდან დმანისის რაიონში შეცვლილი ტოპონიმები:

ყოფ. მუდანლო – გუგუთი;

ყოფ. ირგანჩაი – ს. ირგანი;

ყოფ. ვალდჭეიმი – კიროვისი – იფნარი;

ყოფ. ლაკლაშენი (დ. ბერძენიშვილის მიხედვით ლაკლაკაშენი) – ამჟამინდელი სოფ. საფარლო (ასევეა მითითებული 1950-იან-2002 წ.);

დმანისის რ-ნის მრავალი ტოპონიმი შეიცვალა 1930-1950-იან წლებში (იხ. ზემოთ)

თეთრიწყაროს რაიონში დასახლებული პუნქტებისთვის ახალი სახელწოდებებით ძველი ტოპონიმების შეცვლა (ან აღდგენა) დაიწყო გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან:

ძველი ადგილობრივი ტოპონიმი ალგეთი კომუნისტებმა შეცვალეს სახელწოდებით ბუდიონოვკა-ვოროშილოვკა – 1957 წ. მას კვლავ დაუბრუნეს ძველი სახელი – ალგეთი.

ყოფ. ს. ღორისთავი – 1947 წ. 19.4-დან გუდარეხია. თეთრი წყარო – შემდგომში აღბულაღი – 1940 წ. 19.10-დან კვლავ დაბა თეთრი წყაროა.

ყოფ. ს. პრიუტი – ს. ორბეთია – 1953 წ. 13.5-დან

ყოფ. ს. ჭივჭავი – გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს სვანების მიერ აღდგენილი ახალი, სოფელია.

როგორც ვხედავთ თეთრიწყაროს რაიონში 1940-50-იან წლებში აღდგენილი ტოპონიმების რაოდენობა მცირეა, რადგან, უმეტესობა ძველი სახელწოდებაა (ან ახალი დასახლებების ქართული სახელწოდებებია).

მარნეულის რაიონში 1930-1950-იან წლებში აღდგენილი ტოპონიმების (იხ. ზემოთ) შემდგომ შეცვლილი სახელწოდებებია:

ყოფ. ახეულარი ამჟამად ს. ახეულაა;

ყოფ. მამაი – შემდგომში კიროვკაა;

ყოფ. ორჯონიკიძე – 1959-ში დაფუძნებული სოფელია, რომელიც 2010 წლიდან იწოდება საიმერლოდ;

ყოფ. პატარა ახმედლო – ახლა ხატავეთია.

მარნეულის რ-ნი ძირითადად აზერბაიჯანელებით არის დასახლებული და მრავალი ტოპონიმი შენარჩუნებულია.

(1930-1950 წწ. შეცვლილი ტოპონიმები იხ. ზემოთ).

წალკის რაიონში ტოპონიმთა ცვლილებები ასე გამოიყურებოდა:

ავრანლოს წარსულში თეზი ეწოდებოდა;

ყოფ. ფარეხა – შემდეგში აშკალა;

ყოფ. აბანო – ახალიკი;

ყოფ. ზემო ახალშენი ახლანდელი ბაშქოი;

ყოფ. კლდეკარი – მიგრანტთა გამოთქმით ახლა იწოდება როგორც გედაქლარი;

ყოფ. თაქქილისა – გუნიაყალაა ამჟამად;

ყოფ. საბატეა – დარაქოი;

ყოფ. თამაღახარაბა – ახლანდელი ს. თაზახარაბა;

ყოფ. გველფარეხა – კუშნი;

ყოფ. მინქენდი – მინსაზქენდი;

ყოფ. უწყლო – სანთა;

ყოფ. ახალშენი – ქარიაქია ამჟამად.

ყოფ. ეძენა სოფელი – შიპიაკი.

”გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როცა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ახალი ცნობარი მზადდებოდა (შემდგენელი ოთარ ახმეტელი), საკმაოდ ბევრ დასახლებულ პუნქტს დაუბრუნდა თავისი ძველი სახელწოდება. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ჯერ კიდევ არსებობს საბჭოთა ლიდერის -კალინინის სახელწოდების დასახლება.

. . . გარდაბნის რაიონში არის სოფელი კალინინო, რუსთავის ბოლოზე მდებარეობს. ადრე ტატიანოვკა ერქვა, 1955 წლიდან კი - კალინინო. ამ ტოპონიმზე სამჯერ მაინც გვაქვს დაწერილი რეკომენდაცია, რათა დარქმეოდა ობიექტს ის

სახელი, რომელი სახელითაც მას იცნობდა (იცნობს) ის ხალხი, ვისაც ეს ადგილები ეკუთვნოდა ძველად. მართალია, ტოპონიმ "საფურცლეს" საისტორიო წყაროებში ვერ მივაგენით, მაგრამ ის კი დავადგინეთ, რომ რუსთავი და მისი მიმდებარე ტერიტორია მარტყოფის მონასტერს ეკუთვნოდა. აქ მეთვრამეტე საუკუნეში რუსთველ ეპისკოპოსებს თუთის პლანტაციები ჰქონდათ გაშენებული და აბრეშუმის ჭიისათვის აქედან ეზიდებოდნენ ფოთოლს, ანუ ფურცელს. მარტყოფელი მოხუცებისაგან ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციან წლებში ჩავიწერეთ, რომ ამ ადგილებს "საფურცლიჭაღას" ეძახდნენ და ბავშვობაში თვითონაც უკრეფიათ აქ ფურცელი. აი, ეს მშვენიერი ტოპონიმი ვერა და ვერ დავამკვიდრეთ თავის ისტორიულ ადგილზე. ის კი მოვახერხეთ, რომ სხვა სახელს, რომლის დარქმევასაც ზოგიერთები ძალიან ცდილობდნენ, მხარი არ დაუჭირეთ და ბოლშევიკების დანაშაული ჩვენც არ გავიმეორეთ." (უშანგი სახლთხუციშვილი "გაუფრთხილდეთ ისტორიულ ტოპონიმებს" 2005, 05, 03. "საქართველოს რესპუბლიკა")

ჩვენი აზრით ტოპონიმიკის პირველ დანიშნულებად შეიძლება საფოსტო ორიენტაცია ჩაითვალოს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს დღეს უცხოეთიდან გამოგზავნილ წერილს შეიძლება მისამართი მაგალითად ასე ეწეროს: საქართველო, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელ კალინინოს სკოლას. 21 ე საუკუნეში საბჭოთა კავშირის დაშლიდან 25 წლის შემდეგ, თავისუფალ საქართველოში, კვლავ არსებობს 1955 წელს მინიჭებული, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრის მიხეილ ივანეს ძე კალინინის სახელი. (ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტში კიროვი), რაც იმედია საქართველოს მოსახლეობის 2015 წლის საყოველთაო აღწერის ცნობარებში შეიცვალა.

ქვემო ქართლში 1991 და 1992 წლებშიც ბევრი სახელწოდება შეიცვალა: დასახლებებს აღუდგა ქართული ისტორიული სახელები.

2010 წელს წალკის რაიონის სოფლებს ქართულენოვანი სახელები საქართველოს პრეზიდენტის სახელწოდებით ეწოდა.

სოფელ ხადიკის ახალი სახელწოდებაა ტბეთი, სოფელ გუნიაკალას სამება ეწოდა, სოფელ თიაქილისას – განთიადი, სოფელ ედიქილისას – საყდრიონი, სოფელ ახლიკს – კოხტა, სოფელ შიპიაკს ჩრდილიდუბანი, სოფელ ქვემო ხარაბას – ხარება, სოფელ კირიაკს – ახალშენი, სოფელ საფარ-ხარაბას – სამადლო, სოფელ ჩაპაევკას – კავთა, სოფელ ჯინისს – არწივანი, სოფელ კარაკომს – საბეჭისი.

ქართული ისტორიული ტოპონიმების აღდგენის პროცესმა კახეთისა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელების პროტესტი გამოიწვია. ინტერნეტში ”ფორუმის” ერთ-ერთ-ერთ პორტალიდან მასალები გვამცნობს, რომ ”აზერბაიჯანული ტოპონიმების აღდგენის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. (”აღდგეს საქართველოში აზერბაიჯანული ტოპონიმები” 2012 წ. 23 თებერვალი, ხუთშაბათი) ნათქვამია:

ხელმოწერებს ამავე რეგიონებში მცხოვრები აქტივისტები აგროვებენ. „დაგეგმილია დაახლოებით 50 ათასამდე ხელმოწერის შეგროვება, რის შემდეგაც მოთხოვნას საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს გაუუგზავნიან. დაახლოებით 20-ზე მეტი ტოპონიმის აღდგენას ვითხოვთ. ამავე დროს, კიდევ გაგრძელდება აქციები ბაქოში, საქართველოს საელჩოსთან“, - განუცხადეს კახეთის საინფორმაციო ცენტრს აქტივისტებმა. მათივე თქმით, საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმულანლოში 3 ათასამდე ხელმოწერა უკვე შეაგროვეს”.

იქვე შეგვახსენებენ, „რომ ამავე მოთხოვნით, რამდენიმე დღის წინ, ბაქოში, საქართველოს საელჩოს წინ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ბორჩალოს“ 40-მდე აქტივისტმა აქცია მოაწყო. ისინი საქართველოში აზერბაიჯანელებით დასახლებულ პუნქტებში, მათი თქმით, ისტორიული აზერბაიჯანული სახელწოდებების აღდგენასა და მიწების დაბრუნებას მოითხოვდნენ. მონაწილეებს ხელში ეჭირათ ლოზუნგები: „გაუმარჯოს ძმობას და მეგობრობას!“, „ძირს სეპარატიზმი!“, „ის, ვინც აზერბაიჯანელებისა და ქართველების მეგობრობას არღვევს, ჩვენი მტერია!“, „აღდგეს საქართველოში აზერბაიჯანული ტოპონიმები“. ორგანიზაცია „ბორჩალოს“ ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელმა ალი ადიგეზაღემ აქციის მონაწილეთა

რეზოლუცია საქართველოს საელჩოში პირადად შეიტანა. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ 1991-1992 წლებში საქართველოში აზერბაიჯანულ სოფლებს ისტორიული სახელწოდებები გადაარქვეს. გარდა ამისა, მიწის რეფორმის საფარქვეშ აზერბაიჯანელი გლეხების კუთვნილი მიწის ნაკვეთები უცხო პირებმა დაიტაცეს და ამით გარდაბნისა და საგარეჯოს სოფლებში მცხოვრები აზერბაიჯანელების უფლებები შეიღახა. „ეს პრობლემები გადაუჭრელია, საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებთ, ამ უსამართლობას ბოლო მოეღოს“, - ნათქვამია განცხადებაში.

და შემდეგ საუბარი ასე გრძელდება:

ე.ი. შევთანხმდეთ-სოფლები, რომლებიც საუკუნეების წინ დაარსეს აზერბაიჯანელებმა, სოფლებში, სადაც აზერბაიჯანელები არიან დიდ უმრავლესობაში, სოფლები, რომლებსაც ისტორიული ქართული სახელები არ აქვთ, ამ სოფლებს უნდა მოვუგონოთ ქართული დასახელებები, რათა თბილისში მსხდომ ნაციონალისტ ქართველებს გული გაეუხაროთ, რომელთა აზრითაც, თურმე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველაფერი ქართული უნდა იყოს. (იტალიაშია ყველა დასახელება იტალიური? ესპანეთშია ყველა სოფლისა თუ ქალაქის დასახელება ესპანური? თუ საფრანგეთში, თუ გერმანიაში, თუ ჩეხეთში, თუ სად? დაასახელოთ ისეთი ქვეყნები, სადაც ყველა დასახელება მხოლოდ ერთი ენისგან მოდის) ფორუმის მონაწილე ქართველების ერთი ნაწილი სვამს კითხვას:

„ქართველებს რას გვიშავებს ის ფაქტი, თუ მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ დასახლებას იქაური მცხოვრებლები ყიზილაჯლოს ეძახიან. და რას მოგვიტანს, თუ ყიზილაჯლოს დაეუძახებთ და დავაძახებინებთ მაგ: ახალსოფელს?!“

მათი აზრით უნდა შეიქმნას კომისია ორივე მხრის წარმომადგენელთაგან, ადგილობრივი აზერბაიჯანული მოსახლეობისგან და ცენტრალური ხელისუფლების. რაიმე კომისიის ჩამოყალიბება, სტრუქტურის მოფიქრება არ უნდა წარმოადგენდეს სირთულეს, დადგინდეს რეალურად, რა როგორ იყო. ოღონდ ეს ყველაფერი არ უნდა მოხდეს ცალმხრივად, ჰერეთშიც უამრავ ქართულ სოფელს

შეცვლილი აქვს, თავისი ისტორიული დასახელება. ყველაფერზე უნდა იყოს კომპლექსური მუშაობა. რესპოდენტი წინააღმდეგია ბაქოში, ვილაცის მიერ მოწყობილი აქციის, ჯერ კიდევ გასარკვევია ვინ დგას მათ უკან. მათი კარნახით, აქ ჩვენ რაიმე შევცვალოთ. დავიჯერო ასე ძალიან აწუხებთ სოფლის დასახელებები? ასე ამთავრებს საუბარს რესპოდენტი.

ქართველი რესპოდენტის სიტყვებით: ქვემო ქართლში აზერბაიჯანული მოსახლეობა ყველაზე ცოტა 400 წელიწადია ცხოვრობს. ამ პერიოდში მათ მიერ არაერთი სოფელი იქნა დაფუძნებული - საუბარია ისეთ დასახელებებზე, სადაც ადრე მოსახლეობა არ ყოფილა და ამ ხალხის დაფუძნების შემდეგ გაჩნდა. ასეთი სოფლები ბევრი არ არის. შესაბამისად, მე ვთვლი რომ ასეთ დასახელებებს უნდა შეუნარჩუნდეს აზერბაიჯანული სახელები. აი, დანარჩენებს, რასაც მოექცნება ისტორიული ქართული სახელი, უნდა გადაერქვას. საერთოდ არ შეიძლება ნაციონალურ გრძნობებზე თამაში. ეს ხალხი ჩვენი საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს და წიხლის მიჭერას სჯობია მათ ინტეგრაციას შევეუწყოთ ხელი. აი ეს არის პრობლემის მოგვარების გასაღები. . . .”

საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, გეოგრაფიული სახელწოდებები მრავალფეროვანია და თავის თავში ასახავენ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ლინგვისტიკის, ბუნებისმეტყველების და სხვა შემოქმედებას. როგორც ზემოთ ითქვა ტოპონიმია ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის ისეთივე მნიშვნელოვანი წყარო და საბუთია, როგორცაა მიწისზედა და წიაღისეული მატერიალური ხასიათის ნაშთები. სწორედ ტოპონიმის

ქართველი ხალხის ქვემო ქართლში მკვიდრობის უტყუარ საბუთს მიაღმა უდიდესი დარტყმა და ამოძირკვა იმ უმძიმესი პოლიტოკური და სოციალურ-ეკონომიკური ვიტერების გამო, რომელშიც გამოისრა საქართველომ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, განსაკუთრებით XIII ს-ის II ნახევრიდან მოყოლებული ასეული წლების მანძილზე გარეშე მტრების გამანადგურებელი შემოსევებით (VII ს-დან არაბების ბატონობა, XI ს II ნახ. XII ს. დასაწყისში თურქ-სელჩუკთა შემოსევები, XIII-XIV სს მონღოლთა თარეში, 1225 წ. ჯალალ-ედ-დინის, XV ს. II

ნახ. უზუნ-ჰასანის თურქმანთა თარეში, XV ს-დან თურქ-ოსმალთა, XVI-XVII ყიზილბაშურ სეფიანთა ირანის შემოსევები, 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის მიერ უდიდესი მსხვერპლის მიყენება ქართლ-კახეთისთვის. რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, XVII ს-ში ირანის შაჰის აბას I-ის მიერ თურქმანული ტომების ელი-ს ჩასახლება ქვემო ქართლში (ამჟამად აზერბაიჯანელებად წოდებულნი) (ბერძენიშვილი, 2005 წ., გვ. 421). ამას დაემატა XIX ს-ნის პირველი ნახევრიდან გერმანელების, რუსების, მათ შორის კონფესიური ჯგუფების, სომხებისა და სხვა ეთნოსთა ჩასახლება. ყოველივე ამან სრულიად შეცვალა ქვემო ქართლის დემოგრაფიული მდგომარეობა საზღვრისპირა მცხოვრები ძირ-ძველი მოსახლეობის ნაწილი ამოწყდა მტრის შემოსევების გამო, ხოლო ნაწილი კი გაიხიზნა მთებში და შიდა რეგიონებში. მათ დანატოვარ კარ-მიდამოსა და საცხოვრებლებში ჩასახლებული უცხოტომელების მიერ შეიცვალა ამ მხარის ტოპონიმია და ზოგადად, ამ კუთხის იერ-სახეც. იმ რეგიონებში სადაც ახალმოსულთ დახვდა მცირერიცხოვანი ქართული მოსახლეობა, მათ ქართული სახელწოდებები თარგმნეს თავის ენაზე, ზოგჯერ ისე, რომ ძნელი გასარკვევია პირველადი სახელები. ხოლო იმ რეგიონებში სადაც ქართველები უკვე აღარ ცხოვრობდნენ მოსულმა მოსახლეობამ შეარქვა ახალი სახელები.

ამჟამად ტოპონიმების აღდგენა ისტორიული ქართული სახელწოდებებით, ქართველი სახელმწიფოს სამართლიანი უფლებაა. ტოპონიმია, არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად ქართველთა წინაპრების ანუ მათი ფესვების მიერ ამ ტერიტორიების მრავალსაუკუნოვანი ათვისებისა ბრძოლებით დაცვის მეტყველი მოწმეა.

ჩვენი აზრით, ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა მოვალეობა კი, ქართული ენის ანუ სახელმწიფო ენის შესწავლაა, რატა არ გაუჭირდეთ ქართული სახელწოდებების გაგება და გამოთქმა. და თუკი ქვემო ქართლში ქართველთაგან დაუსახლებელ ტერიტორიაზე (რაც სათუთა) ჩაეყარა საფუძველი რომელიმე აზერბაიჯანულ დასახლებას მათი ტოპონიმის აღდგენაც დასაშვებად მიგვაჩნია.